

შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის
31 დეკემბრამდე
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები	5-30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ მფლობელსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგისა“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 14 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2024 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 14 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2024 წლის 31 დეკემბრამდე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის სავარაუდოდ ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი,

ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვვრცობთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალე ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 16 აპრილი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	81,825
არამატერიალური აქტივები	6	9,386
გუდვილი	4	181,975
სულ გრძელვადიანი აქტივები		273,186
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	7	33,902
სავაჭრო მოთხოვნები	8	44,771
გადახდილი ავანსები	9	9,273
სხვა მოკლევადიანი აქტივები		328
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	4,860
სულ მოკლევადიანი აქტივები		93,134
სულ აქტივები		366,320
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		226,506
დაგროვილი ზარალი		(4,133)
სულ საკუთარი კაპიტალი	11	222,373
გრძელვადიანი ვალდებულებები		
პროცენტის სესხები და ნასესხები სახსრები	12	39,779
საიჯარო ვალდებულებები	13	6,485
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		46,264
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	30,189
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		1,237
საიჯარო ვალდებულებები	13	3,939
პროცენტის სესხები და ნასესხები სახსრები	12	56,982
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	1,314
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	4,022
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		97,683
სულ ვალდებულებები		143,947
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		366,320

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

თენგიზ ხელაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

კოენ მიშელ კაპტეინი

ფინანსური დირექტორი

5-30 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება**2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის 31 დეკემბრამდე
პერიოდისთვის***(ათას ლარში)*

	<i>შენიშვნა</i>	<i>2024</i>
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	18	5,342
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19	(3,402)
საერთო მოგება		1,940
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები		(899)
ადმინისტრაციული ხარჯები	20	(1,709)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(95)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	8	(683)
სხვა შემოსავალი		19
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(1,427)
ფინანსური დანახარჯები	14	(695)
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(2,011)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(4,133)
მოგებიდან გადასახადები		–
პერიოდის ზარალი		(4,133)
სხვა სრული შემოსავალი		–
პერიოდის მთლიანი სრული ზარალი		(4,133)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	–	–	–
პერიოდის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	–	(4,133)	(4,133)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების გაქვითვის გზით (მე-11 შენიშვნა)	45,297	–	45,297
საწესდებო კაპიტალის გაზრდა მშობელი საწარმოს მიერ ფულადი შენატანების გზით	181,209	–	181,209
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	226,506	(4,133)	222,373

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის 31 დეკემბრამდე
პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024
საოპერაციო საქმიანობა		
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(4,133)
კორექტირებები დასაბეგრი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5	483
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	6	1
ფინანსური დანახარჯები	14	695
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	8	683
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობისთვის მიკუთვნებადი წმინდა საკუროსო ზარალი		969
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(1,302)
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები		
ცვლილებები მარაგებში		946
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(5,214)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		3,383
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		990
ცვლილებები სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		944
ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გარდა		652
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		399
გადახდილი პროცენტი	14	(393)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		6
საინვესტიციო საქმიანობა		
შვილობილი საწარმოების შესყიდვა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით	4	(175,497)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(175,497)
საფინანსო საქმიანობა		
ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	14	(70)
შემოსულობა საწესდებო კაპიტალის გაზრდიდან	11	181,209
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		181,139
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		5,648
საკუროსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(788)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	4,860

5-30 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ („GBBH“ ან „კომპანია“) საქართველოში 2024 წლის 14 ნოემბერს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 405740881.

კომპანია არის შემდეგი საწარმოების ჰოლდინგური მშობელი საწარმო:

შვილობილი საწარმო	წილობრივი მონაწილეობა %	2024	ქვეყანა	საქმიანობის სფერო	კონტროლირებული შემდეგი პირის მიერ შეძენის თარიღი
შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა“	100		საქართველო	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	GBBH 2024 წლის 23 დეკემბერი
შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“	100		საქართველო	ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელების წარმოება	GBBH 2024 წლის 23 დეკემბერი
შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“	100		საქართველო	ყავის დისტრიბუცია	GBBH 2024 წლის 23 დეკემბერი
შპს „ნიუ ქოფი კომპანი“	100		საქართველო	ყავის დისტრიბუცია	შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“ 2024 წლის 23 დეკემბერი
შპს „გენუინ ბრევინგ კომპანი“	100		საქართველო	ლუდის წარმოება	GBBH 2024 წლის 23 დეკემბერი
შპს „კრაფტ ენდ დრაფტი“	100		საქართველო	ლუდის წარმოება	შპს „გენუინ ბრევინგ კომპანი“ 2024 წლის 23 დეკემბერი

კომპანია, თავის შვილობილ საწარმოებთან ერთად, შეადგენს კომპანიების ჯგუფს (შემდგომში „ჯგუფი“).

კომპანია დაფუძნდა იმ მიზნით, რომ შეეძინა შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკის“, შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“, შპს „ნიუ ქოფი კომპანის“, შპს „გენუინ ბრევინგ კომპანისა“ და შპს „კრაფტ ენდ დრაფტის“ 100%-იანი წილი. ეს ოპერაცია დასრულდა 2024 წლის 23 დეკემბერს (მე-4 შენიშვნა).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ლუდის, ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია. ჯგუფს აქვს სავაჭრო ნიშნის ლიცენზიის ხელშეკრულებები Heineken Brouwerijen B.V.-სთან, Heineken Ceska Republika A.S.-სთან და Amstel Brouwerij B. V.-სთან (შემდგომში „ჰაინეკენის ჯგუფი“) და საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ამსტელის, კრუშოვიცის და ჰაინეკენის ბრენდების ლუდის წარმოების ექსკლუზიური უფლება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნიდერლანდებში დაფუძნებული კომპანია Swinkels Georgia B.V. (შემდგომში „Swinkels Georgia“) ფლობდა შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ 100%-იან წილს. კომპანიის 80%-იანი მაკონტროლებელი წილის საბოლოო მფლობელი (შუალედური საწარმოების მეშვეობით) 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო ნიდერლანდებში დაფუძნებული კომპანია Ambrig B.V.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის („ბასის“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის ანგარიშგებისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად გამოყენებულ იქნა პირვანდელი ღირებულების მეთოდი. საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიიჩნევა მათ პირობით ღირებულებად.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის („საანგარიშგებო პერიოდი“).

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება პირველი ანგარიშგებაა, რომელიც ჯგუფმა ფასს-ის მიხედვით მოამზადა. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფს არ გამოუყენებია ფასს 1-ით „ფასს-ის პირველად გამოყენება“ დაშვებული ან მოთხოვნილი გამონაკლისები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“) თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 4,549 ლარით აღემატებოდა და ჯგუფმა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 4,133 ლარის ზარალი აღრიცხა. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის ჯგუფის საქმიანობის შედეგები არ ასახავს მის პროგნოზირებულ ფინანსურ შედეგებს მომავალში, ვინაიდან ჯგუფის ბიზნესი საანგარიშგებო თარიღამდე ცოტა ხნით ადრე იყო შექმნილი. ჯგუფის შვილობილი საწარმოების ისტორიული ფინანსური შედეგები მეტყველებს ჯგუფის უნარზე, წარმოქმნას საკმარისი თავისუფალი ფულადი სახსრები იმისათვის, რომ შეეძლოს თავისი მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა მათი დაფარვის ვადის ამოწურვისთანავე.

GBBH-ის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტირებული საწარმოსგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტირებულ საწარმოზე ზემოქმედებით.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტირებულ საწარმოში არ ფლობს საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტირებულ საწარმოზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლების მქონე სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შექმნის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ა) საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არამაკონტროლებელ წილებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწვევითანავე და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მას შეძენილი აქვს ბიზნესი მაშინ, როდესაც შეძენილი საკმიაზო და აქტივები შეიცავს წარმოების კომპონენტებს და არსებით პროცესს, რომლებიც ერთობლივად იძლევა წარმოების შესაძლებლობას. შეძენილი პროცესი არსებითად ითვლება მაშინ, თუ მას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ნაწარმის შექმნისთვის და შეძენილი წარმოების კომპონენტები შეიცავს ამ პროცესის წარმართვისთვის საჭირო უნარებით, ცოდნითა თუ გამოცდილებით აღჭურვილ ორგანიზებულ სამუშაო ძალას ან თუ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოების შექმნაში და მიიჩნევა უნიკალურად, იშვიათად ან შეუცვლელად მნიშვნელოვანი დანახარჯის, ძალისხმევის ან წარმოების შეფერხების გარეშე.

როდესაც ჯგუფი იძენს ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შეძენის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შეძენილი საწარმოს მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მყიდველი საწარმოს მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. პირობითი საფასური, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფასს 9-ის შესაბამისად. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც არ ექვევება ფასს 9-ის მოქმედების არეალში, ფასდება სამართლიანი ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ხოლო სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში.

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით (რაც უდრის გადაცემული საზღაურის აგრეგირებული თანხის ზედმეტობას და არამაკონტროლებელი წილებისთვის აღიარებულ თანხებს და ნებისმიერ მანამდე ფლობილ წილს შეძენილი წმინდა ამოცნობადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ზედმეტობით). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ ანაზღაურებას, მაშინ ხდება მოგების აღიარება მოგებაში ან ზარალში.

საწყისი აღიარების შემდეგ გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

შეფასების პერიოდი

თუ საწარმოთა გაერთიანების თავდაპირველი აღრიცხვა არ არის დასრულებული იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რომელშიც მოხდა გაერთიანება, ჯგუფი მას ასახავს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში პირობით თანხებს იმ მუხლებისთვის, რომლებისთვისაც აღრიცხვა არ არის დასრულებული. შეფასების პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი რეტროსპექტიულად შეასწორებს შეძენის თარიღისთვის აღიარებულ პირობით თანხებს, რომ ასახოს შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ მოპოვებული ახალი ინფორმაცია, რომლებიც, მათ შესახებ ცნობილი რომ ყოფილიყო, იმოქმედებდა ამ თარიღისთვის აღიარებული თანხების შეფასებაზე. შეფასების პერიოდის განმავლობაში ჯგუფი ასევე აღიარებს დამატებით აქტივებს ან ვალდებულებებს, თუ მოიპოვებს ახალ ინფორმაციას ისეთი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც არსებობდა შეძენის თარიღისთვის და, ცნობილი რომ ყოფილიყო, გამოიწვევდა ამ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას ამ თარიღისთვის. შეფასების პერიოდი მთავრდება, როგორც კი ჯგუფი მიიღებს ინფორმაციას იმ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც არსებობდა შეძენის თარიღისთვის ან შეიტყობს, რომ მეტი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. შეფასების პერიოდი არ აღემატება ერთ წელს შეძენის თარიღიდან.

ჯგუფი გუდვილს ანაწილებს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე შეფასების პერიოდის განმავლობაში და გუდვილის გაუფასურების პირველ ტესტირებას ატარებს განაწილების დასრულების შემდეგ პირველივე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგების აღიარება

მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას, ე.ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას. საექსპორტო გაყიდვების შემთხვევაში, საქონელზე კონტროლი, როგორც წესი, გადაეცემა მომხმარებელს მაშინ, როდესაც საქონელი განზაფხებისთვის შეთანხმებულ ადგილზე გადამზიდველს გადაეცემა, მცირედი ცვლილებებით იმისდა მიხედვით, თუ სად მდებარეობს ქარხნები ჯგუფის საწარმოებში.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

ამონაგების აღიარება მზა პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის ჯგუფი ამ საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი ასახავს კორექტირებებს მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურების მიხედვით (ფულადი სახსრები, რომელსაც ჯგუფი უხდის ან აპირებს გადაუხადოს მომხმარებელს) და გარკვეული ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც მომხმარებელს ანიჭებენ გარკვეულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. ჯგუფი მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი არ დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც ჯგუფი მიიღებს.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე). ჯგუფის მოთხოვნების უმეტესობა მოკლევადიანია და არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს. ჯგუფი მოკლევადიან სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მათი ნომინალური ღირებულებით და უგულებელყოფს დისკონტის ეფექტებს.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე ჯგუფი გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ამონაგებად ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს). ჯგუფი სახელშეკრულებო ვალდებულებები არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს. ჯგუფი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას იყენებს და არ აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებების დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როცა ჯგუფი მოელის ყველა საქონლის მიწოდებას და შესასრულებელი ვალდებულების პირობის დაკმაყოფილებას ვალდებულების წარმოშობიდან 12 თვეში.

ხელშეკრულების გაფორმების დანახარჯები

ჯგუფი ხელშეკრულების გასაფორმებლად გასწევს ხარჯებს, როგორც წესი, თავისი მომხმარებლების რეგისტრაციის ხარჯის სახით, რომლებიც კაპიტალიზდება, როგორც აქტივები და აისახება „გადახდილ ავანსებში“. ამ წინასწარ გადახდილი დანახარჯების აღიარება ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მოგებაში ან ზარალში, როგორც ამონაგებისა ან შემოსულობისა, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (უმეტესად, 1 წელი) ან დაუყოვნებლივ, თუ ჯგუფი აღარ მოელის კონკრეტული მომხმარებლისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში ადმინისტრაციული ხარჯების სახით.

ვაზის გაშენება წარმოადგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწეამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

შენობები	15-დან 20 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 15 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 7 წლამდე
სხვა	3-დან 8 წლამდე

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწა და ვენახი (ვიდრე გაშენებული ვაზი დამწიფდება) არ არიცხავს ცვეთას.

ცვეთის ხარჯი

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული მარაგები გაიყიდა) ან, როგორც მარაგები (თუ წარმოებული მარაგები არ გაიყიდა). სხვა ძირითადი საშუალებების მუხლის ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება გაყიდვის დანახარჯებსა და ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, აქტივების ხასიათიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

დ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა მიღებად ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ▶ ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;
- ▶ მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით.

მარაგები აისახება გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ე) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ფასდება.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წლიდან 10 წლამდეა.

სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთა არ ხდება. ისინი ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურების გამოსავლენად ინდივიდუალურად, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. განუსაზღვრელი ვადის შეფასება ყოველწლიურად გადაისინჯება იმის დასადასტურებლად, რომ შეფასება კვლავაც მისაღებია. თუ ეს ასე არაა, მოხდება განუსაზღვრელი ვადის განსაზღვრულად შეცვლა პერსპექტიული მეთოდით.

გ) უცხოური ვალუტები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც, ამავდროულად, მშობელი საწარმოს სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს იყენებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ზ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფის ყველა სხვა ფინანსური აქტივი (ძირითადად წარმოადგენილი ფულადი სახსრებითა და მათი ეკვივალენტებით და სავაჭრო მოთხოვნებით) აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა კრედიტის საგარანტიო საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღით. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის სპეციფიკური საპროგნოზო ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები) ჯგუფმა გამოითვალა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული კრედიტის საგარანტიო საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსურ ვალდებულებებში შედის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები და პროცენტოვანი სესხები და ნასესხები სახსრები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და პროცენტოვანი სესხები და ნასესხები სახსრები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ფინანსური ვალდებულებით იმავე კრედიტორის მიმართ არსებითად შეცვლილი პირობებით (მაგალითად, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირებული მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება 10%-ზე მეტით განსხვავდება თავდაპირველი ვალდებულების საბალანსო ღირებულებისგან), ან თუ არსებითი ვალდებულების პირობები არსებითად მოდიფიცირდება (მაგალითად, ვალუტის ცვლილება, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის მეთოდის ცვლილება ცვლიდით, ან პირიქით, ან კაპიტალის კონვერტაციის ფუნქციის შემოღება), ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება აღიარდება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ი) იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ძირითად საშუალებებში. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ვადასა ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში:

- ▶ შენობები – 2-დან 5 წლამდე;
- ▶ ავტომობილები – 5 წელი.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი თავის ყველა სამეურნეო სუბიექტში იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამოწვევას სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის მოკლევადიანი იჯარების დროს (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). ჯგუფი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების იჯარიდან გამოწვევას თავისი დაბალი ღირებულების მქონე, მაგალითად, კომპიუტერებისა და ავეჯის იჯარისთვის (აქტივები, რომელთა ღირებულება, ახლის შემთხვევაში, მაქსიმუმ, 15 ლარია). მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილისა და განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ჩათვლით

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური გაუფასურების ტესტია საჭირო (მაგალითად, გუდვილის ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების), კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

ჯგუფი გაუფასურების ტესტირებას ატარებს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შემენილი გუდვილისთვის იმ პერიოდში, როდესაც მოხდა საწარმოთა გაერთიანება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი არ ასრულებს გუდვილის განაწილებას ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე შესაბამისი პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის. ამ შემთხვევაში პირველი გაუფასურების ტესტი ტარდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში შესაბამისი საწარმოთა გაერთიანების შეფასების პერიოდის გასვლისა და ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გუდვილის განაწილების დასრულებისთანავე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ლ) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მუხლი მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკსა და სალაროში, და მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ანაზრებს სამ თვემდე ვადით, რომელთა კონვერტაცია ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი გარკვეულ თანხად და რომელთა ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისგან და მოკლევადიანი ანაზრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

მ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციას, აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით საბალანსო ანგარიშის შედგენის ყოველი თარიღისთვის და მოსავლის აღების დროს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან სასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემი არაემპირიულია.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ნ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა გასამრჯელოები ერიცხება იმ პერიოდს, რომელშიც მათთან დაკავშირებული მომსახურება გასწია ჯგუფში დასაქმებულმა პირმა და კაპიტალიზდება მარაგების თვითღირებულებაზე ან ხარჯების სახით აისახება ადმინისტრაციულ ხარჯებში, გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, გაყიდვების და მიწოდების ხარჯებში ან სხვა საოპერაციო ხარჯებში, შესაბამისი დასაქმებული პირების ფუნქციის მიხედვით.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე და აგრძელებს მათი გავლენის შეფასებას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „*უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადანაგარიშება.

ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩანაცვლებს ბასს 1-ს „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ფინანსური ანგარიშგებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლები“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „*ფულადი ნაკადების ანგარიშგება*“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ჯგუფი ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას ჯგუფზე:

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფი ამჟამად აფასებს, ვალდებულია თუ არა მიიღოს ფასს 19 და როდის მიიღოს და მიიღოს თუ არა ფასს 19.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ამონაგების აღიარება – საქონელზე კონტროლის გადაცემა

ხელმძღვანელობა განსჯის საფუძველზე განსაზღვრავს, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი შუამავალი გამყიდველებისთვის მიწოდებულ საქონელს, საბოლოო მომხმარებლებზე მათ გადაყიდვამდე. ყიდვა-გაყიდვის გარკვეული ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალი გამყიდველები ვალდებული არიან, რომ საქონლის ღირებულება გადაიხადონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას გადაყიდვიან საბოლოო მომხმარებელზე და აქვთ უპირობო უფლება, დაუბრუნონ გაუყიდავი საქონელი ჯგუფს ნებისმიერ დროს, პროდუქტის ვარგისიანობის გასვლამდე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, ჯგუფი ინარჩუნებს საქონელზე კონტროლს მანამ, სანამ არ მოხდება მისი გადაყიდვა საბოლოო მომხმარებლებზე და არ აღიარებს ამონაგებს ამ მომენტამდე.

პირობითი შესყიდვის ფასის განაწილება და გუდვილისა და განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურების დრო

ჯგუფმა მნიშვნელოვან საწარმოთა გაერთიანებაში მიიღო მონაწილეობა 2024 წელს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფის შესყიდვის ფასის განაწილება ამ საწარმოთა გაერთიანებისთვის პირობითი რჩებოდა (მე-4 შენიშვნა).

ჯგუფი აღიარებს გუდვილის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ბასს 36-ის მიხედვით სწორად განაწილების მნიშვნელობას. წლიური გაუფასურების ტესტის პროცესის ფარგლებში, ჯგუფი ამტკიცებს, რომ გუდვილის განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე კრიტიკული განსჯის საგანია და მოითხოვს ყურადღებით განხილვას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსაზრებები (გაგრძელება)

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯგუფს ჯერ არ დაუსრულებია ამასწინანდელი საწარმოთა გაერთიანების (მე-4 შენიშვნა) შედეგად წარმოშობილი გუდვილის განაწილება, რითაც ჯგუფმა წინასწარ მოახდინა ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იდენტიფიცირება, რომლებისთვისაც გუდვილი შეიძლება იყოს მიკუთვნებადი.

სააღრიცხვო პოლიტიკისა და ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მოთხოვნების თანახმად, ჯგუფი გუდვილისა და განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურების ტესტირებას ჩაატარებს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოთა გაერთიანების შეფასების პერიოდის ამოწურვისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გუდვილის განაწილების დასრულებისთანავე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გამოუვლენია თავისი გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნები.

ამ განსჯის გაკეთებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის, საოპერაციო სტრუქტურას, შემენილი ბიზნესების ხასიათს და თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს. გუდვილის განაწილებაში ყოველგვარ მნიშვნელოვან ცვლილებებსა და გაუფასურების ტესტის შედეგებს ჯგუფი წარადგენს მომდევნო წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასების თანმხლები განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი აღიარებს რეზერვს სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის და ამისათვის გამოყენებული აქვს გამარტივებული მიდგომა. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალს რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მესამე მხარეების მიმართ მოთხოვნებისთვის. დისტრიბუციის ბიზნესის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კოლექტიურად ფასდება, ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად. ღვინის სეგმენტის მოთხოვნების უმეტესობის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, მოვალეების არსებული და მოსალოდნელი ფინანსური მდგომარეობის და მათი გადახდის დისციპლინის გათვალისწინებით.

ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, ჯგუფის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებითი არ არის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა 683 ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი თავისი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის (მე-8 შენიშვნა).

4. საწარმოთა გაერთიანება

2024 წლის დეკემბერში ჯგუფმა შეიძინა 100%-იანი წილები შემდეგ იურიდიულ პირებში (ერთად მოხსენიებული, როგორც „ლუდისა და დისტრიბუციის ბიზნესი“): შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა“, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“, შპს „ნიუ ქოფი კომპანი“, შპს „გენუინ ბრევინგ კომპანი“ და შპს „კრაფტ ენდ დრაფტი“. ლუდისა და დისტრიბუციის ბიზნესი შედგება ლუდისა და ლიმონათის მწარმოებლებისგან, ასევე საკუთარი წარმოებული და სხვადასხვა მესამე მხარის საქონლის დისტრიბუტორებისგან. საწარმოთა გაერთიანების მიზანი იყო მშობელი ჯგუფის წილის გაზრდა ქართულ და რეგიონულ ბაზრებზე. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ გუდვილს, არის მოსალოდნელი სინერგიები მშობელი საწარმოს ჯგუფის არსებული სასმელების ბიზნესში.

(ათას ლარში)

4. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ დასრულებულა შესყიდვის ფასის განაწილება ძირითად საშუალებებზე, არამატერიალურ აქტივებზე, პროცენტთან ნასესხებ სახსრებზე, მარაგებსა და სხვა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებზე. შესაბამისად, ჯგუფმა საწარმოთა გაერთიანებისთვის ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიყენა პირობითი აღრიცხვა. შეძენის თარიღისთვის ჯგუფმა აღიარა შეძენილი იდენტიფიცირებული აქტივებისა და ვალდებულებების პირობითი სამართლიანი ღირებულება (რაც წარმოადგენს მათ წმინდა სააღრიცხვო ღირებულებებს შეძენის თარიღისთვის, რომელიც აღიარებულია შეძენილი შვილობილი საწარმოების ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში), გუდვილის პირობით თანხასთან ერთად. ჯგუფის მოელის შესყიდვის ფასის განაწილების დასრულებას მომდევნო 12 თვეში და მოახდენს რეტროსპექტიულ კორექტირებებს პირობით თანხებში, მათ შორის, გუდვილში.

ჯგუფმა პირობითად მოახდინა ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იდენტიფიცირება ამ საწარმოთა გაერთიანებაში, მაგრამ არ დაუსრულებია პირობითი გუდვილის გადანაწილება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შეძენის თარიღისთვის ლუდისა და დისტრიბუციის ბიზნესის იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების პირობითი სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>პირობითი სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღით</i>
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	82,308
არამატერიალური აქტივები	9,387
სულ გრძელვადიანი აქტივები	91,695
მოკლევადიანი აქტივები	
მარაგები	34,848
სავაჭრო მოთხოვნები*	40,240
გადახდილი ავანსები	12,656
სხვა მოკლევადიანი აქტივები	326
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,826
სულ მოკლევადიანი აქტივები	92,896
სულ აქტივები	184,591
გრძელვადიანი ვალდებულებები	
პროცენტთან სესხები და ნასესხები სახსრები	39,592
საიჯარო ვალდებულებები	6,485
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	46,077
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,199
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	585
საიჯარო ვალდებულებები	4,003
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,314
პროცენტთან სესხები და ნასესხები სახსრები	56,690
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,078
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	94,869
სულ ვალდებულებები	140,946
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	43,645
შეძენისას წარმოშობილი გუდვილი (პირობითი)	181,975
შესყიდვის ღირებულება⁽¹⁾	225,620

(ათას ლარში)

4. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების ანალიზი შესყიდვის დროს:

გადახდილი საზღაური	(180,323)
საწარმოთა გაერთიანებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,826
შემენისას გადახდილი ფულადი სახსრები, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით	175,497

* საწარმოთა გაერთიანებისას შემენილი სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი საბალანსო ღირებულება გაუტოლდა 46,799 ლარს, საიდანაც 6,559 ლარის ამოღება არ იყო მოსალოდნელი.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 14 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შემენილი საწარმოების 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული სრული წლის წლიური ფინანსური შედეგები ხელმისაწვდომია, პრაქტიკული არ იყო ჯგუფის ამონაგებისა და მოგება-ზარალის შეფასება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ისე, თითქოს საწარმოთა გაერთიანება მოხდა 2024 წლის 14 ნოემბერს (მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში).

- (1) მთლიანი შესყიდვის ღირებულება შედგებოდა გადახდილი ფულადი სახსრებისგან 180,323 ლარის ოდენობით და გადასახდელი 45,297 ლარისგან. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ვალდებულება დაფარა მშობელმა საწარმომ, რომელიც აღირიცხა, როგორც კაპიტალში შენატანი (მე-11 შენიშვნა).

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები და ალჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	აქტივის გამოყენების უფლება*	სულ
თვითღირებულება								
2024 წლის 14 ნოემბრის								
მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–
შეძენილი საწარმოთა გაერთიანების შედეგად (მე-4 შენიშვნა)	602	15,966	53,437	250	1,550	15	10,488	82,308
2024 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	602	15,966	53,437	250	1,550	15	10,488	82,308
ცვეთა								
2024 წლის 14 ნოემბრის								
მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–
ცვეთის დანარიცხი პერიოდის განმავლობაში	–	16	291	29	14	–	133	483
2024 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	–	16	291	29	14	–	133	483
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება								
2024 წლის 14 ნოემბრის								
მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	602	15,950	53,146	221	1,536	15	10,355	81,825

ჯგუფმა დააგირავა თავისი ძირითადი საშუალებები ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად. დაგირავებული ქონების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 71,470 ლარი (მე-17 შენიშვნა).

* აქტივის გამოყენების უფლების ცვლილების დინამიკა უფრო დაწვრილებით წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

(ათას ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული პროგრამები	ბრენდი „ყაზბეგი“	სხვა (ა)	სულ
თვითღირებულება				
2024 წლის 14 ნოემბერს	–	–	–	–
შეძენილი საწარმოთა გაერთიანების შედეგად (მე-4 შენიშვნა)	218	8,115	1,054	9,387
შემოსვლები	–	–	–	–
გასვლები	–	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	218	8,115	1,054	9,387
ამორტიზაცია				
2024 წლის 14 ნოემბერს	–	–	–	–
სამორტიზაციო დანარიცხი	–	–	1	1
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–	1	1
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
2024 წლის 14 ნოემბერს	–	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	218	8,115	1,053	9,386

ჯგუფმა არამატერიალური აქტივები დააგირავა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (მე-17 შენიშვნა). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის დაგირავებული აქტივების საბალანსო ღირებულება 9,386 ლარს შეადგენდა.

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024
მზა პროდუქცია	21,590
ნედლეული	8,082
წარმოების დამხმარე მასალა	581
სხვა მარაგები (ა)	3,649
	33,902

(ა) სხვა მარაგებში, ძირითადად, შედის მარკეტინგული მასალები და სათადარიგო ნაწილები.

ჯგუფმა მარაგები დააგირავა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად. დაგირავებული მარაგების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 33,902 ლარი (მე-12 და მე-17 შენიშვნები).

8. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა

	2024
სავაჭრო მოთხოვნები	45,454
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(683)
	44,771

(ათას ლარში)

8. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილების დინამიკა ასეთია:

	2024
14 ნოემბერს	–
წლის დანარიცხი	683
31 დეკემბრის მდგომარეობით	683

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება და ისინი, როგორც წესი, 30-90 დღეში იფარება.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2024	ვადაგადა- უცილებელი	<30 დღე	30–90 დღე	90> დღე	სულ
დეფოლტის დროს					
მოსალოდნელი მთლიანი					
საბალანსო ღირებულება,					
სულ	9,905	20,981	10,142	4,426	45,454
მოსალოდნელი ზარალის					
დონე	1.34%	1.20%	2.95%		
მოსალოდნელი საკრედიტო					
ზარალი	(133)	(251)	(299)	–	(683)

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეძენილი იყო საწარმოთა გაერთიანების შედეგად (მე-4 შენიშვნა). 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან განცდილი საკრედიტო ზარალი აისახა ვადაგადაცილებული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეძენის თარიღისთვის.

9. გადახდილი ავანსები

31 დეკემბრის მდგომარეობით, მოკლევადიან აქტივებში გადახდილი ავანსები მოიცავდა შემდეგს:

	2024
ნედლეულსა და საქონელში გადახდილი ავანსები	5,100
მომხმარებლებისთვის გადახდილი ავანსები (ა)	2,372
მარკეტინგულ მომსახურებაში გადახდილი ავანსები	123
სხვა	1,678
	9,273

(ა) ჯგუფი მომხმარებლებს წინასწარ საზღაურს უხდის ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ან არსებული ხელშეკრულებების განახლებისთვის. ეს საზღაურები ამორტიზდება წრფივი მეთოდით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, რაც ერთიდან სამ წელს შეადგენს. ამორტიზაციის თანხა აღირიცხება, როგორც გარიგების ფასის შემცირება ფასს 15-ის შესაბამისად.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	4,858
ნაღდი ფული	2
	4,860

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომელთაც აქვთ Moody's-ის მიერ მინიჭებული “Ba3/Ba2” (LC) გარე საკრედიტო რეიტინგი.

(ათას ლარში)

11. საკუთარი კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 10,000 აქციისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 22,651 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 226,506 ლარს.

	საწესდებო კაპიტალი
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	–
საწესდებო კაპიტალის გაზრდა საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების გაქვითვის გზით (მე-4 შენიშვნა)	45,297
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანის გზით	181,209
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	226,506

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განადგურებული იყო არსებული უშუალო მფლობელის – Swinkels Georgia N.V.-ის მიერ ქართულ ლარში და აქვს ლარში დივიდენდების მიღების უფლება.

2024 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

12. პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი	2024
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	39,779
სულ	39,779
მიმდინარე	2024
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	56,982
სულ	56,982

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები გამოხატულია ლარში და ევროში და მათი დარჩენილი დაფარვის ვადა 6 თვიდან 8 წლამდე მერყეობს.

ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები გარკვეული გრძელვადიანი სესხები, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 39,779 ლარის საბალანსო ღირებულებით, ექვემდებარება პირობებს, რომლებიც ახლავს ჯგუფის გარკვეულ კონსოლიდირებულ ფინანსურ მაჩვენებლებს (როგორცაა EBITDA-ს დონე, ვალის EBITDA-სთან თანაფარდობა, ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობა, სესხის მომსახურების კოეფიციენტი) სესხების დაფარვის ვადის განმავლობაში. ამ პირობების ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ამ სესხების დაფარვის ვადის ამოწურვამდე. ფინანსური ვალდებულებები შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება ექნება დაუყოვნებლივ მოითხოვოს სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვა. ჯგუფს არ აღენიშნება რამე ნიშნები იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ამ პირობების შესრულება 2025 წლის განმავლობაში.

პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრებისთვის დაგირავებული უზრუნველყოფის საგნის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

13. იჯარა

თავისი სადისტრიბუციო საქმიანობისთვის ჯგუფს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები სატრანსპორტო საშუალებების, შენობებისა და საწყობების სხვადასხვა ობიექტზე. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ზოგადად, ჯგუფს ეკრძალება საიჯარო აქტივების გადაცემა ან ქვეიჯარა. ზოგიერთი იჯარის ხელშეკრულება შეიცავს ვადის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის უფლებას. ჯგუფის იჯარების უმეტესი ნაწილი გამოხატულია ლარში. ჯგუფს მნიშვნელოვანი შემოსვლები აქვს 12 თვეზე მეტი იჯარის ვადის მქონე სატრანსპორტო საშუალებების სახით.

(ათას ლარში)

13. იჯარა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლებების აღიარებული საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	შენობები და საწყობები	სულ
პირვანდელი ღირებულება				
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	–	–	–	–
შეძენილი საწარმოთა გაერთიანების შედეგად (მე-4 შენიშვნა)	7,152	537	2,799	10,488
შემოსვლები	–	–	–	–
ხელშეკრულების ვადის ამოწურვა	–	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,152	537	2,799	10,488
დაგროვილი ცვეთა				
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	–	–	–	–
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	65	17	51	133
ხელშეკრულების ვადის ამოწურვა	–	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	65	17	51	133
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	–	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,087	520	2,748	10,355

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

2024 წლის 14 ნოემბრის	–
შეძენილი საწარმოთა გაერთიანების შედეგად (მე-4 შენიშვნა)	10,488
შემოსვლები	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	35
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები	–
საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა	(35)
მოგებაში და ზარალში ასახული საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	(64)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,424

14. ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

	სესხები და ნასესხები სახსრები (მე-12 შენიშვნა)	საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	სულ
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	–	–	–
შეძენილი საწარმოთა გაერთიანების შედეგად (მე-4 შენიშვნა)	96,282	10,488	106,770
მოგებაში ან ზარალში დარიცხული ფინანსური დანახარჯები	660	35	695
გადახდილი პროცენტი	(358)	(35)	(393)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(70)	–	(70)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	247	(64)	183
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96,761	10,424	107,185

(ათას ლარში)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ასე გამოიყურებოდა:

	2024
სავაჭრო ვალდებულებები მესამე მხარეების წინაშე	24,385
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე (22-ე შენიშვნა)	5,804
	30,189

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება და, ჩვეულებრივ, 30-დან 90 დღემდე ვადაში იფარება.

16. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024
გასაცემი პრემია	3,264
გასაცემი ხელფასები	590
სხვა	168
	4,022

17. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

ქართული საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად აღიქმება და მასში ხშირად შედის ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კანონმდებლობისა და რეგულაციების მისეული აღქმა ადეკვატურია და რომ მას ადეკვატურად აქვს დეკლარირებული და აღრიცხული ყველა საგადასახადო რისკი.

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები

31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შემდეგი ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და მარაგები დააგირავა ქართული კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

	2024
უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ძირითადი საშუალებები (მე-5 შენიშვნა)	71,470
დაგირავებული მარაგები (მე-7 შენიშვნა)	33,902
დაგირავებული არამატერიალური აქტივები (მე-6 შენიშვნა)	9,386
	114,758

18. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2024
შემოსავალი საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვიდან	2,700
მესამე მხარის მზა პროდუქციის გადაყიდვა	2,642
	5,342

(ათას ლარში)

18. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მთლიანი ამონაგების დეზაგრეგირება
საწარმოო ხაზების მიხედვით

	2024
ლუდი	2,045
ღვინო	1,054
ლიმონათი	655
სხვა	1,588
	5,342

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.
სავაჭრო მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)	44,771
მომხმარებლებისთვის გადახდილი ავანსები (მე-9 შენიშვნა)	2,372
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,314

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება და ისინი, როგორც წესი, 30-90 დღეში იფარება (მე-8 შენიშვნა).

სახელშეკრულებო ვალდებულებები არის მომხმარებლებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ მომხმარებლებს. სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში, ჯგუფი მოელის ყველა თანხის მოგება-ზარალში ასახვას თავისი შესასრულებელი მოვალეობის პირობის დაკმაყოფილებიდან ერთი წლის ვადაში.

გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ საკომისიოებს, რომლებიც გადახდილია ახალი მომხმარებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებისთვის ან არსებული ხელშეკრულებების განახლებისთვის. ეს საზღაურები ამორტიზდება წრფივი მეთოდით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, რაც ერთიდან სამ წელს შეადგენს. ამორტიზაციის თანხა აღირიცხება, როგორც გარიგების ფასის შემცირება ფასს 15-ის შესაბამისად.

19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024
საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება	1,719
მესამე მხარის გადაყიდული მზა პროდუქციის თვითღირებულება	1,683
	3,402

20. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024
დასაქმებულთა გასამრჯელოები	942
ცვტა	476
საბანკო მომსახურების საზღაური	91
სხვა	200
	1,709

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტთან სესხებსა და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფს აქვს სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები.

ჯგუფისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად უკავშირდება ჯგუფის გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს, რომლებსაც მცოცავი საპროცენტო განაკვეთი აქვთ. ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში ფიქსირებული განაკვეთით ერიცხება პროცენტი.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიაღებდა. ჯგუფის საკრედიტო რისკი წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ანაზრების აგრეგირებული ნაშთით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საკრედიტო რისკის მოცულობა 49,629 ლარს შეადგენდა.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაჰენტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მისაღები დავალიანების ვადების სისტემატურ ანალიზს. კონტრაჰენტის ლიმიტების დადგენა კრედიტის პირობების საფუძველზე. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მომხმარებლის საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფის თითოეული ბიზნესერთეულის მიერ დანერგილი მომხმარებლის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკით, პროცედურებითა და კონტროლის მექანიზმებით.

ჯგუფი გაუფასურება ინდივიდუალურად და კოლექტიურად აანალიზებს. ჯგუფი ინდივიდუალურ შეფასებას ექსპორტის კონტრაჰენტებისთვის ატარებს. მათ დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს.

გაუფასურების ანალიზი რისკის თითოეული ჯგუფისთვის ტარდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანარიცხების მატრიცის გამოყენებით, რომლითაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. დარეზერვების ნორმები ეყრდნობა სხვადასხვა სეგმენტებად დაჯგუფებული, ზარალიანობის მსგავსი მაჩვენებლის მქონე, მომხმარებლებისთვის დადგენილ ვადაგადაცილებულ დღეებს. გაანგარიშება ასახავს საშუალო შეწონილ ალბათობას, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი წარსულში მომხდარი მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ. ზოგადად, სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება ერთ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში და იძულებითი აღსრულების ღონისძიებას არ ექვემდებარება. ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფის საგნებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა და საკრედიტო ხარისხი წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაზრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით, რომელთაც მინიჭებული აქვთ „Ba3/Ba2“ (LC) გარე საკრედიტო რეიტინგი Moody's-ის მიერ.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი მისაღები ანგარიშების სტატუსიც.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსის მერყეობის რისკი ჯგუფს აქვს ძირითადად უცხოურ ვალუტაში გამოხატულ სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე.

ჯგუფი ხელშეკრულებებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ დააზღვიოს მომავალი ოპერაციები და ფულადი ნაკადები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე (გამოხატულია ლარში):

2024	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	857	1,087
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,443	1,196
ვალდებულებები		
პროცენტუანი სესხები და ნასესხები სახსრები	–	(46,807)
საიჯარო ვალდებულებები	(9,706)	(537)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,150)	(7,693)
ნეტო პოზიცია	(11,556)	(52,754)

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

2024	სავალუტო კურსის ცვლილება %	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარი	-2% / 8.05%	231 (930)
ევრო	-2% / 8.42%	1,055 (4,442)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმის რისკს, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს საკრედიტო დაწესებულებებთან გადახდის პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით:

2024	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	1,197	2,973	7,861	–	12,031
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	2,637	58,280	45,634	2,853	109,404
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,022	–	–	–	4,022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,189	–	–	–	30,189
	38,045	61,253	53,495	2,853	155,646

ლიკვიდურობის რისკის მართვისას ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვას, ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოყენებით, ვადამოსული ვალდებულებების რეფინანსირებით ან რესტრუქტურირებით, მშობელი საწარმოსგან ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებით და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური პირობების გადახედვით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეფასებულია 226,506 ლარით.

ამ მიზნის მისაღწევად, ჯგუფის მიერ კაპიტალის მართვა, სხვასთან ერთად, იმასაც ისახავს მიზნად, რომ დააკმაყოფილოს პროცენტიან სესხებთან და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრავს კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს. ფინანსური ვალდებულებები შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზანკს უფლება ექნება დაუყოვნებლივ მოითხოვოს სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვა. მიმდინარე პერიოდში არ დარღვეულა პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების ფინანსური პირობები.

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება საბალანსო ღირებულებას, გარდა პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრებისა.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით (მე-2 დონე ფინანსური ღირებულების იერარქიაში).

(ათას ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა.

საოპერაციო გარიგებები, რომლებიც დაიდო სხვა დაკავშირებულ მხარეებთან, მოიცავს გარიგებებს შპს ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის მშობელ საწარმოში 20%-იანი წილის მფლობელი საწარმოს – საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილ საწარმოებთან.

	გაყიდვები	შესყიდვები	სადაზღვევო ხარჯი	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისგან	
				მხარეების მიმართ	მისაღები თანხები
სხვა დაკავშირებული მხარეები – 2024 წ.	–	656	–	5,804	–

ჯგუფი ყოველწლიურად არიცხავს ხელფასებსა და პრემიებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის. 2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის 31 დეკემბრამდე ასეთი ხარჯები არსებითი არ იყო ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ მფლობელსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 16 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 4 ივნისი

თბილისი, საქართველო

შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ და შვილობილი საწარმოები

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 14 ნოემბრიდან, დაფუძნების თარიღიდან, 2024 წლის
31 დეკემბრამდე

1.	ჯგუფის შესახებ.....	3
2.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	3
3.	ლუდის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი	4
3.1	ლუდის ადგილობრივი ბაზრის მიმოხილვა	4
	ბაზრის ზრდის პროგნოზი და ტენდენციები.....	4
4.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობა.....	5
4.1	საქართველოს მაკროეკონომიკური პირობების მიმოხილვა და პოლიტიკური რისკების ანალიზი	5
4.2	ვალუტის ცვალებადობა	5
4.3	რეგიონში მიმდინარე პროცესები	6
4.4	საკანონმდებლო ფაქტორები	6
5.	საკუთარი კაპიტალი	7
6.	საზოგადოების მართვა	7
7.	ჯგუფთან დაკავშირებული რისკები	7
7.1	ფასების ცვალებადობა	7
7.2	მომხმარებელთა ინტერესების ცვლილება	8
8.	ფინანსური მონაცემების შიდა კონტროლის მექანიზმები.....	8
9.	დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და კადრების შენარჩუნება.....	8
10.	გარემოსდაცვითი საკითხები	9
11.	განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ.....	9
11.1	უსაფრთხოების მხარდაჭერა	9
11.2	პასუხისმგებლიანი მოხმარება	9

1. ჯგუფის შესახებ

შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ („GBBH“ ან „ჯგუფი“) დაფუძნდა საქართველოში 2024 წლის 14 ნოემბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის შექმნის მიზანი იყო 100%-იანი წილის შეძენა შემდეგ კომპანიებში: შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა“, შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“, შპს „ახალი ყავის კომპანია“, შპს „გენუინ ბრევინგ კომპანი“ და შპს „კრაფტ ენდ დრაფტ“. აღნიშნული ტრანზაქცია დასრულდა 2024 წლის 23 დეკემბერს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის Swinkels Georgia B.V., ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია, რომელიც ფლობს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“-ს აქციების 100%-ს. კომპანიის საკონტროლო ინტერესის 80%-ის საბოლოო მფლობელი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო Ambrig B.V., ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71. ს/კ: 405740881

ჯგუფის საქმიანობა დაყოფილია ორ ძირითად ბიზნეს მიმართულებად:

- **ლუდის და ლიმონათისა წარმოება** - (შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ ს/კ 406135640, შპს „გენუინ ბრევინგ კომპანი“ ს/კ 405070694)
- **დისტრიბუცია** - (შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა“ ს/კ 205116088)

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

ცხრილი #1 ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი (2024 წელი)

	2024
საოპერაციო შემოსავალი	5,342
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	(3,402)
საერთო მოგება	1,940
საოპერაციო ხარჯები და გაუფასურება	(3,367)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)	(1,427)

ჯგუფის დეტალური ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლუდის ბიზნესი:

2015 წელს შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიამ“ (შემდგომში „GBG“) ხელი მოაწერა სავაჭრო მარკის ლიცენზიის ხელშეკრულებებს ჰეინეკენის ჯგუფის (რომელიც შედგება საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ჰეინეკენისა“ და მისი აფილირებული პირებისგან) კომპანიებთან, რომელთა მიხედვითაც გლობალ ბიერ ჯორჯიას მიეცა მათი ლუდების საქართველოში შემოტანის და 2025 წლამდე ჰეინეკენის ჯგუფის სასმელების წარმოებისთვის გარკვეული სავაჭრო მარკების გამოყენების ექსკლუზიური უფლება.

GBG-მ ლუდის წარმოება 2017 წელს დაიწყო და წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი ადგილობრივი ბრენდით („აისი“), ყოველწლიურად GBG-მ მნიშვნელოვანი განვითარების ფაზები გაიარა და გაზარდა საკუთარი პორტფელი, როგორც ადგილობრივი წარმოების ბრენდები („აისი“, „ყაზბეგი“, „კაიაკი“) ისე ლიცენზირებული ბრენდების წარმოებით („ჰაინეკენი“, „ამსტელი“, „კრუშოვიცი“). ჩამოთვლილ ბრენდებთან ერთად GBG-ს პორტფელში წარმოდგენილია ქართულ ბაზარზე ნომერ პირველი კრაფტ ლუდი „შავი ლომის“ სახით.

ის ფაქტი, რომ GBG-მ შეძლო ბრენდ „Heineken“-ის წარმოების ლიცენზიის მოპოვება, მიანიშნებს ჯგუფის წარმოების ხარისხის მდგრადობაზე, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვასა და ეკოლოგიაზე ზრუნვაზე. ჯგუფის პორტფელში სამრეწველო ლუდებთან ერთად წარმოდგენილი კრაფტ ლუდი კი ჯგუფის ერთმნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს სხვა ინდუსტრიულ მოთამაშეებთან შედარებით.

2024 წლის მონაცემებით GBG იკავებს ადგილობრივი ლუდის ბაზრის 22.4% - ს გაცივებული მოცულობის მიხედვით.

2022 წელს GBG-ის მხრიდან ხელი მოეწერა ჰაინეკენთან საექსპორტო თანამშრომლობის ხელშეკრულებას. რომელიც გულისხმობს 7 ქვეყნის მომარაგებას (სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი) საქართველოში წარმოებული ჰაინეკენით.

ლუდის ბიზნესი 2025 წელს მოელის როგორც სავაჭრო ობიექტების დაფარვის რაოდენობრივ გაუმჯობესებას, ასევე, ადგილობრივი ლუდისა და ლიმონათის ბრენდების ექსპორტის კიდევ უფრო ზრდას და ახალი სავაჭრო ბაზრების ათვისებას.

დისტრიბუციის ბიზნესი:

შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკის“ (შემდგომში “GDL”) პორტფელში წარმოდგენილი პროდუქცია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სახეობებს და ბრენდებს წარმოადგენს. GDL-ის პორტფელში არსებული პროდუქტები და ბრენდები ფარავს საშუალო და მაღალ საფასო სეგმენტებს.

დღეისათვის GDL ორიენტირებულია დისტრიბუცია გაუწიოს როგორც საქართველოში წარმოებულ პროდუქტებს, ისე იმპორტირებულ ალკოჰოლურ სასმელებს.

GDL ახორციელებს ჯგუფში (ლუდის ბიზნესი) შემავალი ბრენდების სრულ დისტრიბუციას ადგილობრივ ბაზარზე.

GDL არის ყავა Lavazza-ს ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში.

GDL-ის მთავარი მიზანია, იყოს სანდო პარტნიორი და მიაწოდოს მომხმარებელს ხარისხიანი პროდუქცია და მომსახურება.

თავისი მიზნის მიღწევაში, GDL-ს ხელს უწყობს ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო საშუალებები, პროგრამული უზრუნველყოფა და საკუთარი ფილიალები საქართველოს ყველა რეგიონში. ფილიალები განთავსებულია: თელავში, ახალციხეში, გორში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში.

3. ლუდის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი

3.1 ლუდის ადგილობრივი ბაზრის მიმოხილვა

ლუდის ბაზარი სეზონურობით ხასიათდება. მათ შორის საქართველოშიც, ლუდის გაყიდვების მკვეთრი ზრდა შეინიშნება ზაფხულის პერიოდში, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით: ტემპერატურის მატებით, ტურისტების რაოდენობის ზრდით და სხვა. საქართველოში ლუდის გაყიდვების ძირითადი წილი კონცენტრირებულია დედაქალაქზე.

ბაზრის ზრდის პროგნოზი და ტენდენციები

ჯგუფის მენეჯმენტს აქვს მოლოდინი რომ, საქართველოში მომდევნო წლის განმავლობაში ლუდის წარმოება 5%-მდე გაიზრდება, რაც განპირობებული იქნება ლუდის მომხმარებელთა ზრდით და ლუდის კულტურის განვითარებით.

ყოველწლიურად უფრო მეტად იზრდება ადგილობრივი წარმოების წილი იმპორტულ პროდუქციასთან შედარებით. ამასთანავე, კომპანიები ცდილობენ მომხმარებელს შესთავაზონ ინოვაციური სიახლეები, როგორებიცაა ახალი ბრენდები, არომატები და სხვა, რაც უფრო მეტად ზრდის კონკურენციასა და პროდუქციის მრავალფეროვნებას ბაზარზე. ასევე, იზრდება ქართული პროდუქციის ექსპორტი, რაც ქართული ბრენდების საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული კომპანიები აქტიურად არიან ჩართული ბაზრის კვლევისა და მომხმარებელთა მოთხოვნის დადგენის პროცესში, ასევე, სხვადასხვა მარკეტინგულ კამპანიებში, რაც ხელს უწყობს ცნობადობის ამაღლებას, ლუდის ბაზრის გაფართოებას და მომხმარებლებისთვის ინოვაციური და მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებას.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

4.1 საქართველოს მაკროეკონომიკური პირობების მიმოხილვა და პოლიტიკური რისკების ანალიზი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ჯგუფის მთლიანი ამონაგების ძირითადი წილი საქართველოში კონცენტრირებულ ოპერაციებზე მოდის. აქედან გამომდინარე, ჯგუფის ფინანსური ზრდა და შემდგომი განვითარება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებთან, ცხრილში მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით.

	31 დეკემბერი 2024 (საპროგნოზო მონაცემები)
მშპ-ის ზრდა (%)	9.4
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	33.8
ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	9,141.4
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მილიონი აშშ დოლარი)	614.8
ინფლაცია (პერიოდის ბოლო, %)	1.9
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8
სახელმწიფო ვალი, როგორც მშპ-ის %	74.5
სულ უცხოელთა შემოსვლები (ტურისტები, ტრანზიტული მგზავრები და სხვა)	7,368,149

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ეროვნული ბანკი
<https://www.geostat.ge/ka>
<https://nbg.gov.ge/>

საქართველოს ეკონომიკამ მიმდინარე ფასებში 2024 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია (91.9 მილიარდი ლარი, +13.6% 2023 წელთან მიმართებაში).

საშუალო ინფლაცია გაიზარდა 2023 წლის მონაცემებთან შედარებით 0.4 %-დან 1.9%-მდე.

2024 წელს ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურდა 2023 წელთან შედარებით. თუ 2023 წელს კურსი საშუალოდ დაახლოებით 2.63 ლარის ფარგლებში მერყეობდა, 2024 წელს ეს მაჩვენებელი 2.72-მდე გაიზარდა. ლარის ეს გაუფასურება რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა. გრძელვადიანმა გეოპოლიტიკურმა დამაბულობამ, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ასევე ფულადი გზავნილების შემცირებამ, რაც უცხოური ვალუტის ნაკადს ამცირებს და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებმა, რაც საინვესტიციო გარემოზე და ბაზრის მოლოდინებზე უარყოფითად აისახა.

4.2 ვალუტის ცვალებადობა

ქვეყანაში არასტაბილური სავალუტო ბაზრის არსებობიდან და ამასთანავე ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა და გაუფასურება ევროსა თუ დოლარის მიმართ. დოლარიზაციის საბანკო სისტემაში, ანაბრების შემთხვევაში გაიზარდა: 50.7%-დან 52.8%-მდე, ხოლო სესხების შემთხვევაში შემცირდა: 45,2%-დან 43,3%-მდე. საშუალო საპროცენტო განაკვეთები 14.62%-ს შეადგენდა ლარით გაცემულ სესხებზე, უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე 8.82%, ხოლო ანაბრების შემთხვევაში 6.46%.

ამასთან ერთად, ჯგუფს აქვს სასესხო ვალდებულება ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომელიც ძირითადად მიზნულია ევროზე.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება არასტაბილური კურსის არსებობაში, მაღალია რისკი, რომ ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის ჯგუფის საპროცენტო და სხვა ხარჯებს.

4.3 რეგიონში მიმდინარე პროცესები

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკაზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული ქვეყნებიდან, GBBH ექსპორტს ახორციელებს ყველა მეზობელი ქვეყანაში.

2024 წლის მონაცემებით ყირგიზეთი საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორია, რომელზეც მთლიანი ექსპორტის 19.62% (2023 – 11.43%) მოდის. ყირგიზეთში ექსპორტირებული საქონელი და მომსახურების ღირებულებამ 1,287 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 85%-ით არის გაზრდილი. ექსპორტის განაწილებაში მეორე ადგილს ყაზახეთი იკავებს 13.11%-იანი (860 მლნ აშშ დოლარი) წილით, მესამე და მეოთხე ადგილს აზერბაიჯანი და რუსეთი იკავებენ 11.04% და 10.39% შესაბამისად.

2024 წელს ტურიზმის სექტორში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა.

4.4 საკანონმდებლო ფაქტორები

საქართველოს დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად ჩამოყალიბების პარალელურად, ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას ევროპული სტანდარტების შემოღების, შრომის კოდექსისა და დასაქმებულის უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და საგადასახადო სისტემების ეფექტური მუშაობის მხრივ. საქართველოს შრომის კოდექსში მიღებული ცვლილებები მიზნად ისახავდა, როგორც სამართლიანი ბალანსის დაცვას დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესებს შორის, ასევე ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას. ცვლილებები შეეხება სამუშაო საათების განსაზღვრას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისა და შეწყვეტის დეტალებს, სამართლიანი და არადისკრიმინაციული სამუშაო გარემოს შექმნას და სხვა.

შრომის კოდექსში შესულ ცვლილებებთან შესაბამისობის მიზნით ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა, როგორც შრომით, ასევე მომსახურების ხელშეკრულებებში. შეიცვალა შრომითი ხელშეკრულებების გარკვეული პუნქტები, კანონმდებლობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებების შესაბამისად.

ასევე, ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება გარკვეულ სირთულეებს ქმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების მხრივ.

ამასთანავე, 2014 წელს ევროკავშირთან ხოლო 2018 წელს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებს შორის ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რაც გულისხმობს ევროპაში საბაჟო გადასახადის გარეშე პროდუქციის შეტანას. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემოღება გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვას, განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოების, დასაქმებულთა უფლებებისა და გარემოს დაცვის კუთხით. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებს ამ სფეროში დიდი გავლენა ექნება ბიზნესზე, კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებზე დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.

საგადასახადო კანონები ეტაპობრივად ვითარდება და გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან მისი გაგება და ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავებულად მოხდეს სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან, რაც ჯგუფს უქმნის რისკს, რომ საგადასახადო ორგანო ეჭვქვეშ დააყენებს მათ მიერ კანონის შესრულებას. ეს კი დამატებითი ჯარიმებისა და გადასახადების დაკისრებასთან არის დაკავშირებული.

ჯგუფს ცალკე არ გააჩნია კორუფციასთან ბრძოლის დეპარტამენტი, თუმცა ჯგუფის შემადგენლობაში შექმნილი კომპანიები ბიზნეს ოპერაციებს, რომლებიც ეხება ფულად გადარიცხვებს, ახორციელებენ საქართველოში ავტორიზებული და ავტორიტეტული ბანკების მეშვეობით. ასევე, მომხმარებლები, ვისთანაც ძირითადი კონტრაქტებია გაფორმებული, წარმოადგენენ საქართველოს და მსოფლიო ბაზარზე ცნობილ კომპანიებს.

5. საკუთარი კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალი შედგებოდა 10,000 ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 22,651 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი სააქციო კაპიტალი შეადგენდა 226,506 ლარს.

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით	-	-	-
პერიოდის ზარალი და სხვა სრული ზარალი	-	(4,133)	(4,133)
ბიზნეს კომბინაციის შედეგად წარმოშობილი გადაუხდელი დავალიანების ჩათვლით საწესდებო კაპიტალის გაზრდა	45,297		45,297
საწესდებო კაპიტალის გაზრდა მშობელი კომპანიის მიერ ფულადი შენატანით	181,209		181,209
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	226,506	(4,133)	222,373

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალი მთლიანად ლარში გადაიხადეს და მათ უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები ლარში.

2024 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

6. საზოგადოების მართვა

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ.

ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორის მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წევრისგან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან საერთო კრების მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:

- გენერალური დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, მასთან შრომითი კონტრაქტის დადება და შეწყვეტა;
- გენერალური დირექტორის საქმიანობის კონტროლი;
- ჯგუფთან დაკავშირებული პოლიტიკის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცება, შესწორება და სხვა;

7. ჯგუფთან დაკავშირებული რისკები

7.1 ფასების ცვალებადობა

ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და დისტრიბუციის ბაზარი ხასიათდება ხშირი ფასების ცვალებადობით. ამასთანავე, ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. სავალუტო ბაზრის არასტაბილურობისა და კურსის რყევების გამო, საწარმოს მასალებსა და მომსახურების ფასებზე ცვლილება გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე, შესაბამისად,

მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობაზე. საბოლოო შედეგი აისახება ჯგუფის გაყიდვებსა და შესაბამისად, ფინანსურ მდგომარეობაზე.

7.2 მომხმარებელთა ინტერესების ცვლილება

ბაზარზე მოთხოვნა და მომხმარებელთა ინტერესები მუდმივად იცვლება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული პროდუქტის მიმართ მოთხოვნის შემცირება. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი იძულებული ხდება საკუთარი პროდუქცია მოარგოს მომხმარებელთა მოთხოვნებს. ჯგუფმა მუდმივად უნდა გაითვალისწინოს ბაზრის ცვლილება, სოციალური ტენდენციები და კონკურენციის მაღალი დონე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია უარყოფითი გავლენები გაყიდვებსა და საოპერაციო შედეგებზე.

8. ფინანსური მონაცემების შიდა კონტროლის მექანიზმები

ფინანსური მონაცემების მიმოცვლა ჯგუფში ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯვარედინი კონტროლის მექანიზმი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მიწოდებული ფინანსური მონაცემების სიზუსტეს.

ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს შორის ხდება რიგი საფეხურების დადასტურების შემდეგ, რათა ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებული იყოს, რომ ინფორმაციის მიმღებს მიეწოდება უტყუარი ინფორმაცია. ამასთან ის ფაქტიც, რომ მიმღებს აქვს უფლება გაეცნოს შესაბამის ინფორმაციას.

ჯგუფს შემუშავებული აქვს შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნებისმიერი სახის მონაცემების გაცვლა სტრუქტურულ ერთეულებს შორის და მათზე კონტროლის განხორციელება.

ასევე, ჯგუფს შემუშავებული აქვს ფინანსური თვის და წლის დახურვის პროცედურები შესაბამისი კონტროლის მექანიზმებით, რაც საფუძველია იმისთვის, რომ პროგრამულად აღიარებული ინფორმაცია სრულფასოვანი და უტყუარია.

9. დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და კადრების შენარჩუნება

ჯგუფი სულ უფრო მეტი წარმატებით ახერხებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე საუკეთესო პროფესიონალების მოძიებასა და მოზიდვას. ჯგუფი ცდილობს, გააუმჯობესოს ეფექტურობა ორგანიზაციის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპეტენციის განვითარება გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა. კერძოდ, ჯგუფის მიზანია, გაუმჯობესდეს ორგანიზაციის მიერ სიახლეების დანერგვის უნარი და დაიხვეწოს არსებული პრაქტიკა.

მეორე მხრივ, ჯგუფისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, თითოეულ თანამშრომელს აქვს უფლება, იმუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში, რათა არც მათ და/ან არც მათ ოჯახებს არ შეექმნათ პრობლემები სამუშაო ადგილზე არსებული ისეთი საფრთხეების გამო, რომელთა თავიდან არიდება შესაძლებელი იყო. შესაბამისად, ჯგუფი ქმნის უსაფრთხო სამუშაო გარემოს თანამშრომლებისათვის არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ეს თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციური ყოველ სამუშაო დღეს.

სწორედ ამიტომ, ჯგუფმა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად დასახა პრინციპი - „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“.

10. გარემოსდაცვითი საკითხები

ჯგუფი გარემოსდაცვითი საქმიანობის წლიდან წლამდე გაუმჯობესების მიზნით შემდეგ ძირითად ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას:

- ✓ ორგანიზაციის მასშტაბით დანერგილი კორპორაციული კულტურა,
- ✓ საქმიანობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტები და საოპერაციო პროცედურები,
- ✓ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს, კომპეტენტური თანამშრომლები.

გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება კლიენტების, მომწოდებლების, მარეგულირებელ ორგანოების, ინვესტორების, თანამშრომლებისა და საზოგადოების თვალში რეპუტაციის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

11. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

11.1 უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი ჯგუფისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. როგორც ლუდის წარმოების წამყვანმა ჯგუფმა, ჩვენ მიზნად დავისახეთ უბედური შემთხვევების სრულად აღმოფხვრა და ამის მისაღწევად ჩვენს ჯგუფში დავნერგეთ პრინციპი „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენს სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური და ფატალური შემთხვევები საწარმოო ობიექტების გარეთ ხდება, როცა ადამიანები მოგზაურობენ ან ჩვენი პროდუქციის დისტრიბუციით არიან დაკავებული. გარემოში, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან დაზღვეული არ ვართ. ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი ჯგუფის მასშტაბით და განსაკუთრებული ყურადღება საგზაო უსაფრთხოებაზე გავამახვილოთ.

11.2 პასუხისმგებლიანი მოხმარება

ჯგუფის ლუდი ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც ყოველდღიურად ათასობით ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას. მათი უმრავლესობა ალკოჰოლს ზომიერად იღებს და იცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს, თუმცა ზედმეტი ალკოჰოლის მიღებას აშკარად უკავშირდება ჯანმრთელობის და ქცევითი რისკები და ისინი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირზე არ მოქმედებს. ალკოჰოლის საზიანო დოზით მიღება სხვა ადამიანებს, საზოგადოებას, ჩვენს დარგსა და მის რეპუტაციას ენებს.

იმისათვის, რომ საზოგადოება ალკოჰოლის მიღებას მეტი პასუხისმგებლობით მოეციდოს, ჩვენ აქტიურად ვავრცელებთ გზავნილს „დალიე პასუხისმგებლობით“.

ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, ალკოჰოლის მიღებას პასუხისმგებლობით მოეციდონ და მომხმარებლებს განვუმარტავთ ალკოჰოლის ძველ დოზით მიღების რისკებს.

აღმასრულებელი დირექტორი
თენგიზ ხელაშვილი
2025 წლის 4 ივნისი



ფინანსური დირექტორი
კოენ მიშელ კაპტეინ
2025 წლის 4 ივნისი

